# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 77 ნიუ იორკი, ივლისი 1967 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JULY 1967


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიუ იორკი, ივლისი 1967 წ.**

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს ჩვენ შევგროვდით, რათა მოვიგონოთ ქართველი ერის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა.

ამას ადგილი ჰქონდა 49 წლის წინ, 1918 წლის მაისის 26-ს. ამ დღით ქართველმა ერმა საუკუნეთა მანძილზე მტკიცე ნებისყოფით, თავდაუზოგველი ბრძოლით და შრომით შემონახული დამოუკიდებლობის იდეას ხორცი შეასხა.

ამ შემთხვევის გამო მინდა თვალი გადავავლო იმ მიზეზებსა და ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს დამოუკიდებლობას. ამასთანავე შევეხები საერთოდ კომუნისტურ საშიშროებას, მთელ ქვეყნიერებას წალეკვით რომ ემუქრება და ჩვენს დამოკიდებულებას მასთან.

მიუხედავად რიცხობრიობის და ფიზიკური ძალოვნობის, ერთა შორის არსებობს ერთგვარი ძალა, რომელიც მათ ურთიერთ დამოკიდებულებას აწესრიგებს: ყოველ ერს აძლევს უფლებას იცხოვროს მშვიდობიანად და თავისი ცხოვრება ისე წარმართოს, როგორც ეს მის ისტორიას და ტრადიციას შეეფერება.

ამას ჩვენ ვეძახით საერთაშორისო სამართალს. ამის გარეშე ჩვენ გადავვარდებით შორეულ წარსულში, — ქვის ხანაში, როდესაც მხოლოდ უხეში ძალა ჰქმნიდა სამართალს.

პატარა ერი, რომელსაც აქვს უნარი, დამოუკიდებლობის მტკიცე სურვილი და მოხერხება, — მის ხელში საერთაშორისო უფლება იქცევა დავითის ქვად, გოლიათის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამგვარი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, როდესაც მოვლენების მთელმა წყებამ ის მიიყვანა დამოუკიდებლობამდე.

***

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, — ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ბათუმის, ყარსის და არდაგანის რაიონები. ეს რაიონები საქართველოს ისტორიული მიწა-წყალია. მაგრამ რა შეეძლო ექნა საქართველოს ორი განრისხებული მტრის (რუსეთ-ოსმალეთის) მიერ გარემოცულს? ნუ თუ საქართველოს უნდა დაეთმო ის კუთხე, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ისტორიის და კულტურის წინაშე? ტერიტორია, რომელსაც საქართველოს სწყვეტავდნენ, კოლხეთის ნაწილია, ძველი ბერძნული ცივილიზაციის სიამაყე; ოქროს ვერძის ლეგენდის შემქმნელი მიწა... ბათუმი მესამე უდიდესი ნავთსადგურია შავ ზღვაზე და ბაქოს ნავთის გატანის მთავარი ხაზი.

საქართველოსათვის ამ სასიცოცხლო რაიონების წართმევა რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების შედეგათ წარმოიშვა: არც ერთმა მხარემ საჭიროდ არ დაინახა თვით საქართველოს აზრიც გაეგო საქართველოს ინტერესების უგულვებელყოფით, რუსეთმაც და ოსმალეთმაც დაამტკიცა, რომ ისინი ჯერ კიდევ ქვის ხანის მანტალიტეთი ცხოვრობენ და მათთვის უცნობ ხილად დარჩა საერთაშორისო სამართალი; ზომიერება, კანონიერება, კეთილმეზობლობა და რაც მთავარია „იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“.

იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთი რუსეთის მიერ გაბოძებულ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციით იყო შეცული, საქართველო აღენთო წინააღმდეგობის ენტუზიაზმით. დიდი და პატარა ბრძოლის ველისკენ მიეშურებოდა. მაგრამ მოუმზადებელ, გაუწრთვნელ და შეუიარაღებელ ქართველების გამარჯვების შანსები არარაობა იყო.

იყო რაიმე სხვა საშუალება, რომელიც საქართველოს შეეძლო გამოეყენებინა? შიძლებოდა დავითის მსგავსად გოლიათისთვის ქვის სროლა? ვადა ძალიან მოკლე იყო... ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერეს თებერვლის 17-ს, აპრილის 7-ს კი ბათუმი დაიკავეს, ხოლო აპრილის 12-ს ყარსი. ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცდა, — საერთო ძალით საზღვრების დაცვა, — ჩაიფუშა... საქართველოს სჭირდებოდა ახალი გზა, პოლიტიკური გამჭრიახობა და სახელმწიფოებრივი სიბრძნე.

პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთი ანგლო-ფრანგულ კოალიციასთან ერთად იბრძოდა. როგორც რუსული იმპერიის ნაწილი, საქართველოც, არაპირდაპირ, ამ კოალიციის თანამებრძოლი გამოდიოდა. საფიქრებელი იყო „მოკავშირეთა“ დაინტერესება, მაგრამ ამ პერიოდში ინგლისიც და საფრანგეთიც ღრმად იყვნენ ჩაფლულნი შუა აღმოსავლეთში, ხოლო მათმა უშუალო მოკავშირე რუსეთმა კი მოკავშირეებსაც უღალატა და საქართველოც გაყიდა.

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეების ყურადღება ისევ გერმანიაზე შეჩერდა. ქართულ დიპლომატიას უნდა მოეხერხებინა ორი მოკავშირის (ოსმალეთ-გარმანიის) ერთობაში ბზარი შეეტანა და მათი ინტერესები ერთიმეორესათვის დაეჯახებინა. ეს იყო საქართველოს იმ დროინდელი მეთაურობის გარდაუვალი ამოცანა. ამის გარეშე ოსმალეთის აგრესიას ვერაფერი შეაჩერებდა. ქართული ემიგრაცია და საქართველოს პოლიტიკური პარტიები ამ მიმართულებით ამოძრავდნენ.

ბერლინში მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და სხ. გერმანელებს აინტერესებდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით.

ბათუმში აკაკი ჩხენკელი მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთთან: ის ღებულობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, მაგრამ ოსმალეთისგან მოითხოვდა არ გაეფართოვებინათ ქართული მიწა-წყლის ოკუპაცია. ეს იყო ხერხი, დრო და ჟამამდე, ვიდრე გერმანიის პოზიცია ნათელი იქნებოდა.

გერმანია სერიოზულად ფიქრობდა თავისი ამბიციების აღმოსავლეთისკენ გავრცელებას და ამიტომ, ჩვენ დიპლომატიურ თამაშს წარმატების ელფერი სდევდა. გერმანელების აზრით, რატომ თურქებს უნდა ესარგებლად უპირატესობით, როდესაც მოპირდაპირეებთან უკვე დამარცხდნენ და ისეთი დიდი მნიშვნელობის ქალაქები დაკარგეს, როგორიც არის ტრაპეზუნი და ბეიბურთი.

ოსმალეთი თავისი მხრიდან არა ცხრებოდა და ქართული ტერიტორიის მითვისებას აგრძელებდა. 1918 წლის მაისის 26-ს, საღამოს 9 საათზე ხალილ ბეიმ კავკასიის რესპუბლიკას 72 საათიანი ულტიმატუმი წარუდგხნა და მოსთხოვა ახალციხისა და ახალქალაქის გადაცემა. საბედნიეროდ ოსმალეთის ცდა ნაგვიანები აღმოჩნდა... იმავე დღის ნაშუადღევის 5 საათზე ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ოსმალეთმა ოთხი საათით დაიგვიანა და არ არსებული კავკასიის სეიმისადმი წარდგენილი ულტიმატუმი უადგილო აღმოჩნდა. ეს იყო ქართული დიპლომატიის პირველი და დიდი წარმატება.

ოსმალეთის ამგვარმა სიხარბემ გერმანია უფრო ჩააფიქრა და მოკავშირეთა შორის უთანხმოების ბზარი გაღრმავდა. ორი დღის შემდეგ, მაისის 28-ს გერმანიამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტი და საქართველოში მყოფ გერმანელებს ნება დართო დაეცვათ ჩვენი საზღვრები ოსმალეთის წინააღმდეგ.

1918 მაისის 26 გამოცხადებულ დამოუკიდებლობას კი არ შეუქმნია საქართველო, არამედ მისი შეწყვეტილი ცხოვრება აღადგინა. მისი ისტორია სამიათასი წლის სიღრმეში ინთქმება და მისი არსებობის უფლების დასამტკიცებლად არავითარი ახალი იურიდიული აქტი საჭირო არ იყო. დასავლეთის ცივილიზაციაში მისი წვლილი დიდი და საამაყოა. ამირან-პრომეთეს ლეგენდა, ჯვაროსნული ომები, იერუსალიმის დაკავება, ქალ-ვაჟთა თანასწორუფლებიანობა 12 ს. ისეთი ფაქტებია, რომელსაც ქართველი ერის არსებობას ვეღარას შემატებდა ახალი იურიდიული აქტები. მისი საკუთარი ცივილიზაცია, ენა და ლიტერატურა ხომ საკმარისი იყო მისი თვალწარმტაცი წარსულის ნათელსაყოფად!

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მიერ 1918 მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მხოლოდ პირველი იურიდიული ნაბიჯი იყო საქართველოს აღდგენის, განახლების. ეს იყო საერთაშორისო სამართლის თავშეფარება ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად. პროცედურა კარგად შეიარაღებული მტრულად განწყობილი ჯარის მოგერიების დიპლომატიური მანევრი.

ამ გვარად საქართველომ საერთაშორისო სამართლის დიპლომატიური გამოყენებით სძლია ოსმალეთის არმიას, რის შედეგათაც დაიბრუნა ბათუმი, აღიდგინა ისტორიული საზღვრები და მისი დამოუკიდებლობა იცნო კიდეც პარიზში მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ.

ცხადია, გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს, დიპლომატიაში საერთაშორისო სამართლის გამოყენებით ყოველთვის შეიძლება მტრის ძლევა. სამხედრო ძალასა და უფლებრივობის შორის ყოველთვის უნდა დაცული იყოს წონასწორობა.

პირველი გამარჯვებით წახალისებულ ჩვენ მთავრობას სწორედ ეს გამორჩა მხედველობიდან. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იურიდიულ ცნობას და ნაკლებად იფიქრა სამხედრო ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც ყოველ წუთს მზად იქნებოდა დაეცვა სახელმწიფოს საზღვრები. სამხედრო ძალის და უფლებრიობის შორის წონასწორობის უქონლობამ დაგვაკარგვინა ძვირად მოპოვებული თავისუფლება.

დაახლოვებით ასეთივე სურათი მოსჩანს ვიეტნამში. არც იქ არის დაცული წონასწორობა ჩვენ სურვილსა და უფლებრიობას შორის. ჩვენ გვსურს კომუნიზმის დამარცხება და ამისათვის არავითარ საშუალებას არ დავზოგავთ, მაგრამ იქ ჩვენი სამხედრო ძლიერება უფლებრიობის სისუსტით მცირდება. პრობლემის სახე ნეთლად არ გამოსჭვივის, ამ საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალში.

პრეზიდენტს მხარს უჭერს ხალხთა წარმომადგენლობა: მას აქვს ორივე პალატის ნდობა. მიუხედავათ ამისა შთაბეჭდილება რჩება თითქოს ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია მთავრობის მოქმედების ვიეტნამში. თვით აქტიური ანტიკომუნისტური ორგანიზაციები და ქვეყნები, ჩვენი მოკავშირეები, შეერთებული შტატების პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან და მას აკრიტიკებენ. ეს ქაოსი შექმნა უფლებრიობის გაურკვევლობამ. როცა ეს საკითხი მოგვარდება და ჩვენი უფლება და საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები ნათელი იქნება, მაშინ შეწყდება მთავრობის მოქმედების კრიტიკა შინ და გარეთ, აღსდგება წონასწორობა უფლებრიობასა და სამხედრო სიძლიერის შორის და მტერს დამოყვარეს ეცოდინება თუ რისთვის იბრძვის ვიეტნამში ნახევარი მილიონი ამერიკელი და რატომ აქვს პრეზიდენტს მოსახლეობის მხარის დაჭერა.

ამ მცირე მაგალითიდანაც ნათელი ხდება, რომ გამარჯვების წინდაწინი პირობა უფლებასა და სამხედრო ძალის შორის წონასწორობა არის. როგორ უნდა მოვიქცეთ საქართველოს შემთხვევაში, საიდანაც წინდაწინ გამორიცხულია სამხედრო ძალის შექმნის შესაძლებლობა? რა გარემოებას შეუძლიან აღგვიდგინოს დამოუკიდებლობა?

უპირველეს ყოვლისა, როგორც წარსულში, ისე აწმყოში და მომავალშიც ამ საკითხს გადასწყვეტს ერის შინაგანი სიმტკიცე: ბრძოლისა და დამპყრობელთან შეურიგებლობის სული, დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და მისწრაფება. მტერს შეუძლიან მებრძოლები დასაჯოს ციხეში ჩაამწყვდიოს, გადაასახლოს, მაგრამ ის უძლურია სულის უტეხობასთან ბრძოლაში! ეს უფრო მეტია ვიდრე სამხედრო ორგანიზაცია, აქ მთელი ერი არის მხედრულად დარაზმული.

მიუხედავად საოკუპაციო რეჟიმის მრისხანებისა საქართველოში მაინც არსებობს ლეგალური, იურიდიული უფლების მატარებელი უწყებები. ეს არის: ქართული აკადემია, უნივერსიტეტი, ეკლესია და სხვა მრავალი საზოგადოებრივ-კულტურული უწყებები. მართალია მტერს შეუძლიან იქ თავისი აგენტები შეყაროს და საქმის ნორმალურ ვითარებას ხელი შეუშალოს, მაგრამ ამით მაინც ვერა სპობს ქართული ეროვნული უფლებვიობის მატარებელ დაწესებულებებს.

ამის დამხმარე ძალა უნდა იყოს თავისუფალ ქვეყნებში არსებული პოლიტიკურ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

შ. შ. ქართული სათვისტომო ეროვნულ იურიდიული ერთეულია, სახელმწიფოს მიერ ცნობილი ორგანიზაცია. ყველა ქვეყნებში სადაც ამგვარი ორგანიზაცია არსებობს უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს, სადაც არ არსებობს უნდა დაარსდეს. მათ შორის მოქმედების შეთანხმება და წონასწორობის დაცვა ზომიერი, ფრთხილი, მტკიცე და გაბედული მოქმედება დაგვიბრუნებს დამოუკიდებლობას.

**გ. ზალდასტანიშვილი**

(სიტყვა წარმოთქმული 26 მაისის საზეიმო კრებაზე).

## ორჭოფობა და უმოქმედობა

ხრუშჩოვის დროს საბჭოთა კავშირის დიპლომატია მეტად მოძრავი, დინამიური იყო. თუმცა აქტივი ყოველთვის დეფიციტით თავდებოდა. მაინც შინაგან და საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო ხასიათის მოვლენებს მან განსაკუთრებული დაღი დაასვა. ისიც მართალია, რომ მისი მჩატე და თეატრალური გამოსვლები, რაც მისი დამახასიათებელი სტილი იყო, სოციალისტურ ბანაკში და უცხოეთში, ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა და მის არა სერიოზულობას ადასტურებდა. ხშირად მისი ინიციატივა აჩქარებული, წინააღმდეგობათა შემცველი, მომაბეზრებელი და უთავბოლო იყო. ხოლო, თუ ათი წლის განმავლობაში, შინ და გარეთ, ამას მაინც ირმენდნენ, იმის გამო, რომ მისგან მოელოდნენ სტალინის მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციას და თანმიმდევრმბით რეჟიმის გალიბერალებას.

მოსკოვის ეხლამდელი მთავრობის გაურკვეველი მოქმედება, დამბლა დაცემულობა, ყველასათვის თვალსაჩინოა და ადვილი მისახვედრიც. ჩინეთთან დავის წიაღში წარმოშობილი. მიუხედავად იმისა, რომ კრემლის თვითმპყრობელებს, წინათ თუ არა, ეხლა მაინც რამოდენიმე ბედნიერი შემთხვევა ჰქონდათ საერთაშორისო მდგომარეობის გართულება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ყბად აღებული იმპერიალიზმისათვის საბოლოო ანგარიში გაესწორებინათ. ხრუშჩოვის მემკვიდრეებმა უფრო იოლი, ოპორტინუსტული გზა არჩიეს და გადაჭარბებულმა სიფრთხილემ ისენი უმოძრაობის მორევში შეაცურა. ამით უფრო გაიზარდა ჩინელების უკმაყოფილება და იმპერიალიზმის ვერბალური გმობა.

კოსიგინის პირველი ნაბიჯი, თუ მთლად უმწეო არ იყო, არც მშვიდობიანობის ხვავი დაუდგავს. მისი ინიციატივა უბადრუკი და უდღეო გამოდგა. პაკისტანის და ინდოეთის კონფლიკტი საბოლოოდ არ გამქრალა, მათ შორის უთანხმოება პერმანენტულად გრძელდება.

მაინც, ხან გამოშვებით, საბჭოთა მთავრობის დემარშები მიმართული ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად განზრახულ კონფერენციის მოწვევა, უამერიკოდ არ მოხდა, რადგან ამის მომხრე ევროპაში არავინ აღმოჩნდა. ყველა ამგვარი წინადადება მოსკოვიდან მომდინარე არა რეალური, განუხორციელებელი, არც ახალ იდეებს შეიცავენ და ამიტომ უშედეგოდ სრულდება. ეს კი თავისთავად უძრაობის გარემოებას ჰქმნის და ბრეჟნევ-კოსიგინის ჯგუფი, ჯერჯერობით კმაყოფილდება ხანგრძლივად მართვა გამგეობის შენარჩუნებით; საბჭოთა რეჟიმის კონსოლიდაციით და რაც შეიძლება ნაკლები რისკით აიშოროს თავიდან საგარეო საფრთხე, გართულება და ხიფათი. დაიცვას მხოლო და მხოლოდ კავშირის ვიწრო, ეგოისტური ნაციონალური ინტერესები, თუნდაც სხვა სოციალისტური სახელმწიფოების განწირვით, ოღონდ ამერიკასთან პირდაპირი საომარი შემართება აიცილოს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, უწინარეს ყოვლისა, არის ვიეტნამის ომი, რაც საბჭოთა მთავრობას ხშირად რთულ მდგომარეობაში აყენებს. კრემლის გაორებული პოლიტიკა, ერთდაიმავე დროს მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიცია შეინარჩუნოს და საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობასაც დახმარება აღმოუჩინოს. ცხადია, ამ ორ ობიექტს შორის აშკარა წინაღმდეგობაა, ურთიერთ გამომრიცხველი. მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირიდან მოითხოვს ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან სიამტკბილობით იარსებოს, განსაკუთრებით, ეს მას სჭირდება მდიდარ და ძლიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამავ დროს, რევოლუციონური მოძრაობის მხარის დაჭერა და ხელის გამართვა, იმავე კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინაალმდეგ მიმართული, ისიც ომის დროს, ამდენ ხანს კიდევ შესაძლებელი იყო, მათსა და იმავე დროს ორ კურდღელზე ნადირობა, ახლანდელ პირობებში კი მეტად სახიფათო ხდება.

1962 წ. ხრუშჩოვმა დაგვიანებით შეამჩნია, რომ ბავშვივით ცეცხლს ეთამაშებოდა. რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომლაც დაჯერებული იყო, ჩრდილოეთ ამერიკა წინააღმდეგობას არ გაუწევდა საბჭოებს, კუბაში ატომური ყუმბარების გასასროლი საჭურვები დაედგათ. როცა ის მიხვდა, რომ ანგარიშში მოტყუვდა, გაუთვალისწინებელი შეცდომა დაუშვა და ასეთი ყალბი ანგარიში მას თერმონუკლეარულ ომში ითრევდა, აღარ დააყოვნა: კასტრო და მისი კუბა ფაცაფუცით ღვთისანაბარა მიატოვა. მას შემდეგ კი დამფრთხალი, თუ მოჭკვიანებული სულ იმის ცდაში იყო, რომ ამერიკას შეთანხმებოდა და გავლენის სფეროები „დაზავებით" გაენაწილებინათ. კუბის კრიზისის სამი თვის შემდეგ, მან მოსკოვში ამერიკასთან და სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც ატომურ ბომბების ცდებს კრძალავდა, რამაც ჩინეთს საბაბი მისცა განეცხადებინა, რომ ამ ხელშეკრულებით ამერიკასა და საბჭოეთს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა და ეს მათი კოლუზია მიმართულია კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ. შემდეგ შეთანხმების თანახმად ამერიკა იძულებული იყო სამხრეთ ვიეტნამი ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტების თავდასხმისაგან დაეცვა და კომუნისტების წინ სვლა შეეჩერებინა. საბჭოთა მთავრობა ამერიკის სამხედრო მოქმედებას გასაოცარი სიმშვიდით შეხვდა, არ მივიღებთ მხედველობაში პარტიის ხელმძღვანელების ხან გამოშვებით მუქარას და უშედეგო დემონსტრაციებს. ვიეტნამის ომამდე კი ყველა სოციალისტური სახელმწიფოების შეხება და მათზე თავდასხმა საშინელი რისხვის მოვლენით იყო გარანტირებული. ახლა რა ზომებს ღებულობს საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დასაცავად? თითქმის სრულებით არავითარს!

ბრეჟნევ-კოსიგინს არ შეუცვლია ხრუშჩოვის მიერ დადგენილი საბჭოთა დიპლომატიის მთავარი ობიექტები. ხოლო პარტიის 23-მე ყრილობამ მცირედი კორექტიული შეიტანა, ე. ი. საკითხების უპირატესობის რიგი შესცვალა: როგორც ოფიციალური დოკუმენტებიდან სჩანს, საჭიროდ სცნეს რევოლუციონური მოძრაობის მხარის დაჭერა (ხრუშჩოვის დროს მეტი ყურადღება ექცეოდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკას), — იმ ხალხების ბრძოლაში დახმარება, რომელნიც ეროვნულ თავისუფლებისთვის იბრძვიან. აქ, მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკის წარმოება, როგორც ვხედავთ, მეორე პლანზეა გადატანილი, უპირატესობა ეროვნულ და რევოლუციონურ მოძრაობის მხარის დაჭერას აქვს მიკუთვნებული.

მას შემდეგ საბჭოთა კავშირი მართლაც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რეალურად თუ არა, სიტყვიერად მაინც, რიხიანი ტონით პირდება, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამს ყოველნაირ დახმარებას აღმოუჩენს, ისე რომ, რაიმე მოულოდნელ ხიფათს არ გადაეკიდოს. ახლანდელმა კლემლის მმართველებმა კარგად უწყიან, თუ საერთაშორისო კომუნიზმის დიდი კრიზისი რამდენად ავიწროვებს და აბრკოლებს მათ მოქმედებას. მათთვის ჩინეთთან იდეოლოგიური უთანხმოება მერყეობის და ქანაობის ტრაღედიათ გადაიქცა. შიშის გამო მაო ცე დუნის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს ვერ ღებულობენ, მორიგებას ვერ ახერხებენ და ძველი მდგომარეობა გრძელდება. კრემლის მესვეურებმა წინათ ბრძნული ნათქვამი, გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, ახალი ფორმულით შესცვალეს: გატეხილს გაჟეჟილი სჯობიაო. როგორც ვხედავთ გადაუჭრელი საკითხები მუდმივ გაჟეჟილი რჩება, ჩიხში გამომწყვდეულნი გამოსავალს ვერ პოულობენ.

ხრუშჩოვი კომუნისტურ პარტიებ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების დაძლევას, დუმილით კი არა, აგრესიული შეტევით აღწევდა. მაგ. ალბანიასთან და ჩინეთთან სადაო საკითხებზე ის არ ერიდებოდა საჯარო დისკუსიას. ასევე უცერემონიოდ, რუმინიის დაუკითხავად სცადა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური გაერთიანება, მათ საზიანოდ და საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, რამაც რუმინეთის კომუნისტების უკმაყოფილება გამოიწვია და ისინი მოსკოვიდან დამოუკიდებელი, საკუთარი გზის ძიებამდე მიიყვანა. ბოლოს, მისი განზრახვა იყო მსოფლიო კომუნისტურ პარტიების ყრილობის მოწვევა მაო ცე დუნის მსჯავრის დასადებად. ამ თვითნებურმა მოქმედებამ ნაყოფი არ გამოიღო, რადგან მის განზრახვას ყველა წინაღუდგა. კონფერენციის მოწვევა დღემდე არ მოხერდა, რადგან პარტიებ შორის ერთსულოვნება არ არსებობს, არავის არ უნდა იდეოლოგიური სქიზმა საბოლოო გათიშვით დამთავრდეს.

ბრეჟნევ-კოსიგინი, თითქოს უფრო მეტ ანგარიშს უწევენ მოძმე კომუნისტურ პარტიებს და ფრთხილად მოქმედებენ. ფიქრობენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ჩასაქოლად გადამჭრელ ნაბიჯს მაშინ გადადგამენ, როცა სამისო ნიადაგი მომზადებული იქნება და როცა ჩინეთის კომუნიზმის და მასთან ურთიერთობის საკითხი სოციალისტურ ბანაკში საეჭვო აღარ იქნება. ასეთივე ბედი ეწვია ვარშავის თავდაცვითი პაქტის გადასინჯვის გეგმას. აქაც მოსკოვი თავის მიზნებს ისახავდა, რაც გაუგებარი არ დარჩა სხვებისთვის. დიდი ხანია პაქტის რეფორმა უნდა მომხდარიყო, წინააღმდეგობამ და დაბრკოლებამ აქაც იჩინა თავი. განსაკუთრებით წინააღმდეგობა და ოპოზიცია რუმინეთმა შემართა. მას არ სურს კვლავ იხილოს თავის ტერიტორიაზე წითელი ჯარის დაბრუნება, არც მოსკოვის კარნახით მოქმედება, არც ვიწრო რუსული იმპერიალიზმის ინტერესების მორჩილებაში ყოფნა. მოსკოვის დიპლომატიამ ვერც მუქარით, ვერც დაყვავებით, რუმინეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობა ვერ დაიყოლია ვარშავის პაქტის რეფორმაზე. სადაც მბრძანებელის კვერთხი კრემლის ხელშია. ბრეჟნევის მალული დემარშები ბუქარესტში უმწეო აღმოჩნდა. დიდი აღფრთოვანებით არც სხვაგან შეხვდნენ და სახლში ხელცარიელი დაბრუნდა.

უკანასკნელ წლებში სოციალისტური ბანაკი თანდათან ირღვევა და ერთიმეორეს შორდებიან. რაღა დარჩა სტალინის დროის მონოლიტიზმიდან? ზოგი ალთას, ზოგი ბალთას. ეხლა საბჭოთა მთავრობა დიდ დროს ანდომებს, ან დაფაროს, ან უხეიროდ მოაგვაროს, ან კომპრომისით გაათაოს სადაო საკითხები, რაც ცოტა არ არის თვით სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის. წინააღმდეგობანი, რომელნიც ხანგამოშვებით მათ რიგებში თავს იჩენს, საჭირო ხდება საიდუმლო შეხვედრები, თათბირები, რომ დროებით მაინც შეინარჩუნონ ნორმალური ურთიერთობა. უფრო ბევრი დრო იხარჯება ახალი კრიზისების თავიდან ასაცილებლად. ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ ეხლა მაინც ნაკლებია მათ შორის უთანხმოება, ვიდრე ხრუშჩოვის დროს იყო. მისი მემკვიდრეები მეტის გულმოდგინებით, მოთმინებით ცდილობენ დააჯერონ მმოძმე პარტიები, რომ პეკინის პოზიცია უვარგისია და ინტერნაციონალური კომუნისტური მოძრაობისათვის მავნებელი. მოსკოვმა ჩინეთის ხაზიდან ჩამოშორება თუ მთლად ვერ შესძლო, ზოგიერთის ნეიტრალიზაცია მაინც მოახდინა. წონასწორობის დასაცავად კომუნისტური მოძრაობა რომ მთლად არ დადიშალოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ვერა ბედავს გაასამართლოს და გადამჭრელი ზომები მიიღოს პეკინის წინააღმდეგ.

უნდა ვღიაროთ, რომ ეხლა პარტიის მართველობის სისტემა ისეთია, რომ უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა ადვილად ვერ ხერხდება. მართალია ხრუშჩოვი პოლიტიკურ სცენას ჩამოაშორეს და გააუჭინარეს, მაგრამ, როგორც ზოგიერთებს ეგონათ, არც მათი ვარაუდი გამართლდა და იქ მონოკრატია — ერთ პიროვნული მართველობა ჯერ ვერ გამეფდა. პარტიის ხელმძღვანელობა ხშირად თავს იქებს მართველობის კოლეგიალური წესის შემოღებით. როგორც ირკვევა, მათი კოლეგიალური გამგებლობა ჯერ არაფერში გამოჩენილა, ეს ისეთი მითია, როგორც წინანდელი. დღესდღეობით სამი პიროვნება (ბრეჟნევი, კოსიგინი და პოდგორნი) ანსახიერებენ პარტიის და ხელისუფლების ვითომ კოლეგიალურ სისტემას. სხვათა შორის, სამივე განსხვავებული ტემპერამენტის და ხასიათის არიან, რაც შეუძლებლს ხდის კოლეგიალურ თანამშრომლობას. დანარჩენნი კი, ვთქვად შელეპინი და მისი მომხრეები (უფრო მომდევნო თაობა) ჩრდილში დგანან, თადარიგს იჭერენ და თავიანთ რიგს ელოდებიან.

განა ორი წლის განმავლობაში, პარტიის მეთაურობა, ხრუშჩოვის დაცემის შემდეგ, არ ცდილა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა პოლიტიკური ბიუროს შემადგენლობის განწყობილება? განა ცხადი არ არის, მაგალითად, ბრეჟნევმა თავის ავტორიტეტი როგორ მოხერხებულად განამტკიცა? აღადგინა სტალინური პოლიტბიურო და მიითვისა გენერალური მდივნობა. გარეგნულად კი მაინც დარჩა კოლექტიური ხელმძღვანელობა. პარტიის არც ერთ ლიდერს, როგორც ეს წინათ იყო, პირველ მდივნობის არსებობის პერიოდში, აღარ აქვს სურვილი და შესაძლებლობა იყოს პარტიის პორტპაროლი, ან რაიმე საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგას, ის ერომ გენერალური მდივნის დასტური არ მიიღოს.

როგორც ხმებია და ზოგიერთი ცნობები პრესაშიც გამოქვეყნდა, პილიტიკურ ბიუროში (პოლიტბიურო) და ცენტრალურ კომიტეტში სხვადასხვა ტენდენცია და მიმართულებაა. მართალია მორიდებით, მაგრამ საბჭოთა გაზეთებიც აღიარებენ და მოითხოვენ, რომ უმრავლესობის დადგენილობას ყველა უნდა დაემორჩილოსო. ეს აშკარად ამჟღავნებს საბჭოეთის ლიდერებს შორის უთანხმოებას. როცა ჩვენ ვეცნობით ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე მიღებულ დადგენილებას, ან რეზოლუციას, ისე არიან შედგენილნი, რომ მას შეთანხმების და კომპრომისის იერი სდევს. ამასთანავე, ქვეყნის რთულ სიტუაციაში საზიანოდ არის მიჩნეული ერთმა პიროვნებამ, თუ ცალკე ჯგუფმა ყველას თავზე მოახვიოს თავისი შეხედულობა, რაც შინა პარტიულ კრიზის გამოიწვევს. ამ ჟამად მხოლოდ იმის ცდა გამოსჭვივის, რომ თავიდან აიცილონ, ან დააგვიანონ შინა პარტიული დავის და უთანხმოების გარეთ გამოტანა: ეს შეეხება ეკონომიური კრიზისის დაძლევას, თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებას. თვითეულ ტენდენციას მცირე გასაქანი და სარბიელი მაინც შერჩენილი აქვს.

სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ საბჭოთა მთავრობას და კომუნისტური პარტიის მეთაურებს ასე ახასიათებს მუდმივი მერყეობა, უმოქმედება და გაჩხერილია ჩინეთთან დავასა და მშვიდობიან თანაარსებობის პოლიტიკის შუა.

ს. ჭირაქაძე

## ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი" № 76).

ჩვენი მატიანე ქართველი ქალის სხვა ღირსეულ თვისებებს და დამსახურებასაც გვაუწყებს. ქალი მუდამ ლმობიერი, მოწყალე და შემარიგებელი ყოფილა. ის მუდამ მშვიდობიანობისათვის და ზავის გადასარჩენად ილვწოდნ. ხშირად. უდიდესი განსაცდელის ჟამს, როცა მამაკაცს ყოველი იმედი დაჰკარგვია და ბედი ქვეყნისა ხმალისათვის მიუნდვია, ქალს მაინც გამოუნახავს მოთმინების და შერიგების გზები და ხშირად ღირსეულადაც დაუმშვიდებია ვნებათა ღელვა, ერს რომ საფრთხეს უმზადებდა. საამისო მაგალითებიდან ჩვენ მხოლოდ ორიოდეს მოვიყვანთ „ქართლის ცხოვრებიდან".

როცა თამარ მეფემ გვირგვინი დაიდგა, მრაუალი წ ა რ ჩ ი ნებული მას გადაუდგა თბილისში დიდმა არეულობამ იჩინა თავი,. მდგომარეობა ფრიად გამწვავდა; თამარს ტახტიდან გადაყენებით ემუქრებოდნენ. „მაშინ თამარ მშვიდმა და მშვიდობის მაძიებელმა წარავლინა ორი საპატიო დიოფალნი, რომელ იყო ერთი ხვაშაგი ცოლექ, დედა ქართლისა ერისთავისა რატისი, მეორე კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მინდობა და სხვისა აკარავისა ბრალობა..." ამ წარჩინებულ ქალების საქმეში ჩარევამ, არეულობას მალე მოუღო ბოლო და მშვიდობა ჩამოაგდო. ასეთი დიპლომატიური მაღალნიჭიერებით და ლმობიერების ქადაგებით მოაქციეს მათ განმდგარი დიდებულები.

ხშირად, ქალის შუამდგომლობით და საქმეში ჩარევით, ვინმეზე განრისხებული მეფე „განუტევებდა მოწინააღმდეგეს და ხანდისხან უდიდეს დანაშაულსაც კი აპატიებდა; ასე, დედოფალი ნესტანი შეავედრებს მეფეს სვიმონს — შეუცვალოს სიკვდილის განაჩენი მუხრან ბატონს, ბარძიმ ამილახვარს და ქსნის ერისთავს ელიზბარს; შეიწყნარა მეფემ ეს ვედრება და განუტევაო, ამბობს მატიანე. 1634 თეიმურაზ პირველი ბარათაშვილთ ღალატისათვის საშინელის სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ საქმეში ხვარამან დედოფალი ჩაერია, მეფეს პატიება სთხოვა და თეიმურაზმაც ეს თხოვნა შეიწყნარა. შემდეგი საამისო მაგალითიც: მეფე ვახტანგ მეხუთეს კახეთის ტახტის წასართმევად ებრძვის ერეკლე პირველი. ვახტანგმა მწვავე ბრძოლის შემდეგ ის დაამარცხა, მას შური უნდა ეძია და მაშინ „დედამან ერეკლესამან მიუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტევოს ფარულად; უსმინა მეფემ და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე დუშეთს". ასეთივე ლმობიერება გამოსთხოვა ვახტანგ მეექვსეს მეუღლემ, რუსუდანმა თვისს ძეს ბაქარს, რომელსაც სწადდა სპასპეტი იესე მეფისა კათალიკოსი დომენტი თვალების დათხრით დაესაჯა. რუსუდანის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და მშვიდობა ხელახლა ჩამოვარდა.

გადავიდეთ ქართველ ქალთა ბრძოლაზე საქართველოს ცალკეულ ნაწილების გაერთიანებისათვის. როგორც ვიცით, 921 წ. აფხაზეთ-იმერეთში გამეფდა გიორგი ძე კონსტანტინესი, რომელსაც დიდათ სწადდა ქართლ-კახეთის შეერთება. გიორგიმ თავისი მეორე ვაჟი ლეონი ქართლის ერისთავად დანიშნა და მას კახეთის დაჭერაც უბრძანა. 955 წ. გარდაიცვალა გიორგი და ლეონმა ქართლის გამგებლად დანიშნა თავისი ჭკვიანი და ნიჭიერი და, გურანდუხტი, მეუღლე გურგენ მეფისა, რომელსაც ეპყრა: თრიალეთი, ჯავახეთი და საბარათიანო. აქედან იწყება და ბრწყინვალედ ვითარდება საქართველოს გაერთიანების საქმე გურანდუხტის შვილის, ბაგრატის, შემდეგში ბაგრატ მესამეს წოდებულის გვირგვინის ქვეშ. ამ უდიდესი საქმის წარმართვაში დედოფალ გურანდუხტს გვერდით უდგას შესანიშნავი მამულიშვილი, მებრძოლი ერთობილ საქართველოსათვის იოანე მარუშიძე. ამ ორითა დაუღალავ ცდას და მხნეობას მიეწერება, რომ გურანდუხტის ვაჟი იშვილა ტაო-კლარჯეთის მეფემ დავით კურაპალატმა. განსაცვიფრებელის ჭკუით და წინდახედულებით მოქმედედბენ გურანდუხტი და იოანე მარუშიძე.

მთელი მათი ყურადღება ეხლა მიპყრობილია დავით კურატპალატის ძლიერების და გავლენის გამოყენებისათვის და მათის მეცადინეობით გურანდუხტის ძე ბაგრატი ბოლოს, ვითარცა ნაშვილები დავითისა, ხდება მემკვიდრე ტაო-კლარჯეთისა შემდეგ თრიალეთის. ჯავახეთის და საბარათიანოისა და ამასთან ქართლისაც, საცა თვითონ გურანდუხტია მმართველად. შემდეგ გურანდუხტის და მარუშიძეს რჩევით, დავითმა შვილებული ბაგრატი იმერეთის მემკვიდრეთაც გამოაცხადა. ამნაირად მოხდა ქვეყნის გაერთიანება ბაგრატ მესამეს გვირგვინის ქვეშ და ამ უდიდეს ისტორიულ საქმეში მარუშიძესთან ერთად გურანდუხტს დიდი დამსახურება მიუძღვის. მაგრამ ამით არ თავდება ამ ქალის ღვაწლი. ბაგრატი, ხედავს, რომ მას იმერეთში დიდ წინააღმდეგობას უწევენ და რომ აქ მისი მეფობა მინიმალურია; ამიტომ ის სთხოვს დედას გადმოვიდეს იმერეთში და დაეხმაროს მართვა-გამგეობის საქმეში. გურანდუხტი ქართლს სტოვებს და იმერეთში შვილს გვერდით ამოუდგება. მაგრამ მალე საქართველოს გაძლიერებას დიდი მტერი აღმოუჩნდა; ეს იყო ბიზანტია, რომელმაც მისი დაშლა მოინდომა და მტრები მრავალ გზით შეუსია. ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა და ომებს ბოლო აკარ უჩანდა. აქ უცილო იყო ომისა და იარაღის გარდა, სხვა გზა: მოწინააღმდეგე დიდ ძალასთან ასე თუ ისე შეგუება; საჭირო იყო მოქნილი და ჭკვიანი დიპლომატია — მტრის გულის მოგება.

ეს მძიმე მოვალეობა ეხლა მეორე ქალმა, ბაგრატ მეოთხეს დედამ მარიამმა იკისრა და ბრწყინვალეთაც შეასრულა. მან კონსტანტინოპოლს გასწია რომანოზ მეფესთან და მტკიცე მეგობრობის და ზავის ნიშნად ბაგრატისათვის ცოლად სთხოვა ელენე, ასული იმპერატორ ვასილისა და ამასთან ბაგრატის კურატპალატის ხარისხზე აყვანა. იმპერატორმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა და მარიამი დიდის პატივით გამოისტუმრა 1032 წ.

გაგრძელდა ერთობილ საქართველოსათვის ბრძოლა. ბაგრატ მეოთხემ სომხეთი დაიკავა, აქ მას მარიამიც თან ახლდა და ეს უკანასკნელი შეეცადა სომხეთის წარჩინებულნი და მასთან მთელი ერი დაერწმუნებინა — დამორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს და მისთვის ქრისტიანული ერთგულების ფიცი დაედოთ. ეხლა საბერძნეთი ბაგრატ მეოთხეს გაძლიერებას შეუშინდა და მან ლიპარიტ ორბელიანი შეუჩინა საქართველოს დასაუძლურებლად და დასაშლელად. ამ ზვიად და ძლიერ ფეოდალის გასატეხად საჭირო იყო საბერძნეთის ნდობის ხელახა მოპოვება და ლიპარიტისაგან მათი დახმარების აცდენა. ეს მძიმე მისიაც მარიამმა იდო და 1050 წ. ხელმეორედ გასწია კონსტანტინოპოლს და თან წაიყვანა თავისი შვილი ბაგრატი. იმპ. კონსტანტინა მონამახმა ესენი თუმცა დიდი პატივით მიიღო, მაგრამ უკან აღარ გამოუშვა. ამ კრიტიკულ მომენტში მეორე ქალმა, ბაგრატ მეფის მეუღლემ, დიდი მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა მძლე ლიპარიტის მოსატეხად და სამეფოს გადასარჩენად: ამ ქალმა მოახერხა ურჩი ფეოდალის დაყოლიება და შერიგება, ხოლო ბოლოს ეს მტერი სამეფოსი ერთგულთა შეწევნით კიდევაც შეიპყრო; ქვეყანა მალე დამშვიდდა და ამის შემდეგ ბაგრატ მეფის და მისი დედის მარიამის უკან დაბრუნებაც შესაძლებელი გახდა. საქართველოს მთლიანობა განმტკიცდა. მალე მისი გავლენა და ძლიერება უმაღლეს საფეხურამდე ავიდა. მას მეფეთ თამარი მოევლინა. თამარმა ხომ, როგორც მემატიანე ამბობს „მისი აღმზრდელისა და მასწავლებლის რუსუდანისაგან ისწავლა სიბრძნე ყოველგვარი და იქმნა უბრძენეს ბრძენთა". თამარმა „სიმშვიდითა დავითიანოსთა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა და ხვალისა არ მიგდებისა, იპყრო ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისა და სპერიდან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი ხაზარეთამდე და სკვითთამდი..." თამარმა ააყვავა და განამდიდრა ქვეყანა, ააშენა და განაძლიერა მისი ყოველი კუთხე ეკლესიებით, მონასტრებით, ციხეებით, ხიდე-გზებით, სარწყავებით და უამრავის სკოლებით; არა მარტო საქართველოში ეწეოდა ამ მშენებლობას, არამედ: საბერძნეთში, პალესტინაში, სინაის მთაზე და სხვა უცხო ადგილებსაც. გამრავლდნენ ყველგან ქართულ კულტურის ცენტრები და საქართველოს გენიალობის ლამპარი გაჩაღდა. ამ ჭეშმარიტად ოქროს ხანაში მოხდა სრული გამოვლინება ეროვნულ შემოქმედებისა. გაჩნდნენ დამსახურებულნი, მწიგნობარნი, სახელმწიფო კაცნი და მწერალნი, რომელთაც მიუწვდომელი დარგი შეჰქმნეს ქართულ ხელოვნებისა — ქართული მწერლობა, განამდიდრეს ქართული ენა და სხვა... თამარის სახელთან დაკავშირებული არიან ჩვენი სიამაყე შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი და სხვა მრავალნი, რომელთა შემოქმედებას სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია. თამარის უდიდეს ღვაწლს, რასაც მისი შესანიშნავი ისტორიკოსი ასე მო-

მხიბლავად აღგვიწერს, ჩვენ აქ ვერ შევეხებით. ეს საგანი მრავალმხრივ შესწავლილი და გაშუქებულია. ეს ყოველმა ქართველმა უწყის და ჩვენ ამას ვერას მიუმატებთ.

თამარის სამეფოს ძლიერება საქართველოს გარეთაც იყო ცნობილი. მასვე მიაწერენ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში განსაკუთრებულ ღვაწლს. თამარის ოქროს ხანის გავლენას თუ მიეწერება ის უპირატესობანი, რითაც ქართველები სარგებლობდნენ იერუსალიმში შესვლისას: „როცა ქართველები სალოცავად მიდიოდნენ, ისინი ეგვიპტეს სულთანს არავითარ ხარკს არ უხდიდნენ. მოგზაურობის დროს ისენი სხედან ერთკუზიან აქლემებზე და ფეხმარდ ცხენებზე. იერუსალიმში შესვლის დროს მათ გაშლილი აქვთ ალამი. მგზავრობისას დედაკაციცა და მამაკაცც შეიარაღებულნი არიან. ქართველ დედათ თავზე ქუდები ხურავთ.. თათრების დედაკაცებს ძლიერ ეშინიანთ მათი“. სწერს ბართლომე დე სალინიაკი. მეორე მწერალი ამბობს, რომ „ქართველნი ძალიან მამაცნი არიან, მათი ქალები ისე შეჩვეული არიან ლაშქრობას, რომ მტერთ ცხენდაცხენ არიან ლაშქრობას, რომ მტერთ ტხენდდაცხენ უხტებიანო“.

ჩვენი ხალხური პოეზია ხომ ასე უხვად ასხამს ხოტბას თამარის სახელს და ერის უკვდავთა პანთეონში მას პირველ ადგილს აკუთვნებს. გერმანელი მეცნიერი ჰოლდაკი ჭეშმარიტად ამბობს, რომ თამარში მეფური პიროვნება გაღმერთებულია რელიგიურ მისტიციზმამდეო და მართლაც, თამარ მეფე ხომ წმინდანად იქმნა აღიარებული ქართული ეკლესიის მიერ.

როგორც ვიცით თამარის შემდეგ გიორგი ლაშა გამეფდა, ხოლო მის შემდგომ კი ისევ ქალი ავიდა ტახტზე. ლაშა გიორგიმ ტახტი თავის დას, რუსუდანს უანდერძა.

„მაშინ“, ამბობს მატიანე, „ვითარცა ცნა აღსასრული თვისი მეფემან ლაშამ, ბაგავანე მყოფმან, მოუწოდა წარჩინებულთა სამეფოსა თვისათა, შეავედრა დაი თვისი რუსუდან: ცრემლითა მომდინარემან: შეხედვებითა ღვთისათა მოგითვალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფედ ჰყოთ, ვითარ არს ჩვეულება ნათესავისა თქვენისა ერთგულობით მინებდით და სიმხნითა თქვენითა დაიცავით ტახტი მეფისა მტერთაგან უვნებლად. დაღათა არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოსა საქმისა ცნობასა...“

დედოფალს მართლაც არა აკლდა „სიბრძნე და ცოდნა სამეფო საქმეთა“, მაგრამ ეხლა მას და მის ქვეყანას ბედი არა სწყალობდა. დაიწყო ხანა მონგოლთა გრძელ, მძიმე შემოტევა-ბატონობისა. მაგრამ ამის უწინარეს თვით მონგოლთაგან დევნილი ჯალალ ედინი დიდძალის ჯარით საქართველოში შემოიჭრა და ქვეყანა აოხრა.

ამის შემდეგ ხვარაზმისა და იკონიის სულთანებმა საქართველოს დამორჩილება მოინდომეს. შევიწროვებულმა რუსუდანმა 1233 წ. რომის პაპს, გრიგოლ მეცხრეს მიმართა და შემწეობა სთხოვა. სამაგიეროდ თვითონაც აღუთქვა დახმარება ქართულის ჯარით ჯვაროსანთა ომების საწარმოებლად. მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა და მონგოლთა შემოჭრის შემდეგ რუსუდანი იძულებული გახდა იმერეთში გახიზნულიყო...

არც რუსუდანის ასული, სახელოვან ბებიის სახელს რომ ატარებდა, ყოფილა უმნიშვნელო პიროვნება. ის ცხოვრობდა 13-ტე საუკუნის შუა ათეულში და იყო გათხოვილი რუმის, ანუ იკენიუმის სელჯუკიან სულთანზე ყიასედინ ქაიხოსროზე. ეს უკანასკნელი დიდათ აფასებდა ამ შესანიშნავ, ფრიად წარჩინებულ ქალს. მან მოისურვა თავისი სათაყვანო ქალის სახე ფულებზე ამოეჭრევინებინა, ხოლო მაჰმადიანთა კანონით ეს შეუძლებლად ჩასთვალეს. ბოლოს სულთანი იმით დაკმაყოფილდა, რომ დირჰემებზე ამ მანდილოსნის ჰოროსკოპი ამოაჭრევინა — მზე და ლომი. სულთანის ცოლი გახლდათ საქართველოს დედოფლის რუსუდანის ასული თამარ. (იხ. ზ. ავალიშვილის „ვეფხ. ტყაოსნის საკითხები“).

როგორც ვიცით, ძველად ქრისტიანობის დაცვა, სამშობლოს დაცვას ნიშნავდა. ქართველთა გამაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლა, ნამდვილი ნაციონალური საქმე იყო და ჩვენი ვალია ამ საქმისათვის თავდადებული ქალები მოვიხსენიოთ.

სამცხე საათაბაგოს გამაჰმადიანებას დიდ ხანს და თავდადებით ებრძოდა იქაური ქართველობა, მაგრამ მან ოსმალთა ძლიერი მოწოლა ველარ შეაჩერა. დროთა განმავლობაში ათაბაგები სავსებით დაემორჩილნენ სულთანს და საკუთარ მდგომარეობის და გავლენის შესანარჩუნებლად თავის ძმებს ქრისტიანებს, დევნა დაუწყო. უძველესი ტაძრები და მონასტრები, უდიდესი განძი ქართული კულტურისა ირღვეოდა და იშლებოდა. ჩვენი მატიანე ამბობს: „ახალციხის ფაშა მოიძულვებდა ქრისტიანობასა და შესძინებდა მაჰმადიანობასა და აღმოიფხვრებოდენ წესნი და რიგნი ქრისტიანობისანი ყოველნივე და შეემატებოდნენ მაჰმადს...“

ეს გახდა ქართულ ნაციონალურ დევნად; ოსმალნი მზაკვრულის ხერხით, ხან მოსყიდვით, უფრო კი ტლანქის ძალადობით, იბირებდნენ ქართველ წარჩინებულთ. ბოლოს უბრალო ხალხს არა დაშთენოდა რა, გარდა იმისა, რომ ძალადობას დამორჩილებოდა და გამაჰმადიანებულიყო. ის მეთაურთა გზას ნებით უნდა გაჰყოლოდა, უიდრე ყველაფერზე ხელს აღებინებდნენ და ოჯახს, დოვლათს გაუნიავებდნენ. ამ დიდ და ტლანქ დაწოლას გაძლება უნდოდა, ხალხისათვის სიმტკიცის მაგალითის ჩვენება... და აი, აქ ქართველმა მოწინავე ქალებმა დიდი ეროვნული მხნეობა და სიმტკიცე დამოიჩინეს; ესენი დიდხანს და ენერგიულად ებრძოდნენ თურქ-მაჰმადიანობის გავლენის გავრცელებას. სულთანს კარგად ესმოდა, რომ საათაბაგოს მანამ ვერ ჩაიგდებდა ხელთ, ვიდრე იქაურ ქართულ ოჯახს არ მოშლიდა. ე. ი. ვიდრე ქართველ ქალს არ დაამარცხებდა და ისიც დიდი ენერგიით მოეკიდა ამ ამოცანის შესრულებას, მაგრამ ასეთსავე მედგარ წინააღმდეგობას დაეჯახა. „გარნა“, ამბობს მატიანე, „თუმცა წარჩინებულნი მაჰმადიანები იყვნენ, არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნენ ყოველთა ქრისტიანენი„ ჟამსა როსტომ ფაშისასა მოუვლინა ხონთქარმა ბრძანება, რათა იქმნენ ცოლნიც მათი, რომელნიცა მაჰმადიან არიან მაჰმადიანად; ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაშისასა, ხოლო მან არა ინება, არამედ აიძულებდნენ ყოფად მაჰმადიანად და ამისთვის დაითმინა მრავალნი ტანჯვანი. მერმე განივლტო, რათა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა. სცნეს ესე შეიპყრეს და არა უტევეს, კვალად ინება მოშთობა თავისა თვისისა...“

(გაგრძელება იქნება)

თამარ პაპავა

## ვინმე მესხი.

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“, არის ერთად ერთი ნათელი გამოთქმა მგოსნისა, ვეფხის ტყაოსანში, რითაც უნდა თქვას: მე ვარ **ვინმე მესხი** მელექსეო. სიტყვა „ვინმეს“ თუ ხმარობს, მისი პიროვნების ვინაობის გამჟღავნება არ სურს და ამ აზრს მწერალი მთელ ნაწარმოებში ერთგულად იცავს. **„თამარს ვაქებდეთ“**, ამბობს იგი. სხვა პირნი, მომქმედი გმირებისა, თავისი თავი, ადგილის დასახელებანი, მეორე ხარისხოვნად მიაჩნია და სიტყვა „ვინმეში“ გამოთქმული აზრით ხასიათდება.

სხვა ცნობა გარკვეული და გადაჭრითი მისი პიროვნების შესახებ არ მოგვეპოება. ამიტომ არის, რომ მთელი რიგი მკვლევარებისა ამ წინადადებას ეყრდნობიან, მას არჩევენ და სხვადასხვა აზრსაც დებენ შიდ. მაგ. „რუსთველი სადამისა“, „რუსთველისა თემისა“, „რუსთველისა დამისა“ (უკანასკნელი 800 წ. სახ. გამოცემაში). „რუსთველისა დაბისა“ (იხ. კაკაბაძის 1913 წლ. გამოცემა). ან კიდევ აკ. პ ინგოროყვას სავსებით უარყოფა ამ წინადადებისა და მისი ყალბად გამოცხადება. ეს სჭირდება მას თავისი შეხედულების დასამტკიცებლად, რომ რუსთაველი, ბაგრატიონი იყო ისტორიული პიროვნება: შოთა რუსთველი, ბაგრატიონი ჰერეთისა, მეჭურჭლედ უხუცესი, პატრონი რუსთავისა და მაშასადამე: შოთა რუსთაველი. მაგრამ იგი „მესხი“ ვერ იქნებოდა და ეს სიტყვა თუ მართალია „ვ. ტ??-ში, აკად. პ. ინგოროყვას მთელი საუცხოოდ ანაგები წარმოდგენა ,აზრს უკარგავს.

ჩვენ ეს წინადადება მოკლედ გავარჩიედ და ვთქვით, რომ „რუსთველში“ უნდა ვეძებოთ სხვა ღრმა აზრი: წარმოშობისა, წარმოდგენისა და არა გეოგრაფიული განსაზღვრა (იხ. „კრებული“ ნიუ იორკი 1957 ჩვენი წერილი რუსთველზე).

„ვ. ტ.“-ში ნახმარ წინადადებებში, სადაც რუსთველი გვხვდება, შემდეგნი არიან:

—დავჯდე რუსთველმან გავლექსე.

—მე რუსთველი ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი.

— ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

—ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

ყველა ეს გამოთქმანი მგოსნური ხასიათის არიან. „მე რუსთველისად ამისა“, არ ამბობს, რომ მე რუსთაველი ვარ, ან რუსთავის პატრონი, არამედ მე ვარ „ამისა“, ესე იგი „ვეფხის ტყაოსნის“ წარმომშობი, მისი სათავე, მისი თვალი და ჩემი ვინაობა, მაინცა და მაინც, საჭირო არ არის, **„ვარ ვინმე მესხი“-ო.**

ზემოდ ჩამოთვლილი გამოთქმანი არიან მაღალი ხასიათის ფორმანი და ნიშნავს, რომ მე ვარ წყარო, ხელოვნებით შემომქმედი, მოყვარული თვისი გმირებისა, გამდენი მათთვის ცრემლთა ანუ გრძნობებისა.

არავითარ საბუთს ის არ გვაძლევს ეს სახელი გავახალხოსნოთ რუსთაველად და გარკვეული პირადობის მოწმობა ვეძებოთ შიგ, გარდა სიტყვა **„მესხისა“**, რომელიც ნათლად არის თქმული; თუ არ დაუშვებთ აკად. პ. ინგოროყვას აზრს, რომ იგი ყალბია.

ფორმა „აველი“: რუსთაველი, როგორც მაგალითად, ილარიონ წყაროსთაველი, ჩვეულებრივი იყო და არის ქართულში და იგი იხმარება სადაურობის აღსანიშნავად. რადგან რუსთველი მას გაურბის თვის **ოთხ** გამოთქმაში, მას უნდა სხვა რამის თქმა და ეს სხვა რამე ბრძენისა, შინაარსში უნდა ვეძებოთ. როდესაც იგი ყველა თვისი გმირების სახელებს ფარავს და მათ შინაარსით ამეტყველებს, ძნელი წარმოსადგენია, დიდი გემოვნების ხელოვანმა, უფრო უნცროსობაში გაზრდილმა ფაქიზმა მორჩილმა, თავისი ნამდვილი გვარი ან ვინაობა, გადაჭრით რამდენჯერმე იხმაროს.

რადგან „ვ. ტ.“-ში ნახმარი სახელები, არიან განსაკუთრებული შინაარსის მატარებელნი, როგორც მაგალითად: მწიფე ხელმწიფე, როსტევან; მფარველი ფარსადან; მოციმციმე თინათინ; ძლიერი დარეჯან; ღერძი და ტარი ნაწნრმოებისა ტარიელ; ხშირად ავთან მოთანდილე ავთანდილ; მშველელი მეგობარი ფრიდონ; შერჩეულის მადინებელი შერმადინ (რომელიც ჩვენ წინა დასახელებულ წერილში რუსთველს შევადარეთ თვისი ხასიათით და ნიშანდობლივი თვისებებით). აღმზრდელი გამდელი და, დავარი, და სხვა. ასეთი ხასიათის სახელია „რუსთველიც“; რუს თავი ან თვალი.

ჩვენ უკან უნდა დავიხიოთ მის ხანაში, რომ ამ „ვინმე მესხის“ შეხედულებები უფრო გასაგები დარჩეს ჩვენთვის. მას ძველ სიბრძნეთა კარგად მცოდნეს: ჯერ კიდევ რიგვადაში და ავესტაში, წყარო მოხსენებულია როგორც მშობელი წარმომშობი დედა. (ქართულმა ენამ დედობა, „დედა-მიწას“ დაუტოვა).

თალესის შეხედულება წყალზე, როგორც ქვეყნის საწყისზე. ქართულ სიტყვიერებაში: „წყარო“, „შემიწყალე“, „უწყალო“, თავის დამახასიათებელ განყენებულ მნიშვნელობას ატარებს. (თამარს, როგორც მეფესა და ხელმწიფეს იმ დროს ზოგი არ **წყალობდა.** შეთქმულებასაც უწყობდნენ მას. გაიხსენეთ ჯაყელის ქალთა სულგრძელი და გონიერი მოღვაწეობა თამარ მეფის სასარგებლოდ. „ვინმე მესხმა“ მსგავსად და ბრძანებისითად თავისი პატრონებისა, **შეიწყალა თამარი** და გამოთქვა გადამწყვეტი სიტყვა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, „ლეკვი ლომისა სწორია“-ო). იგრუ, წყაროს უდრიდა და „იგრი“, ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთს ნიშნავდა და სიცოცხლის საწყისი იყო. (იხ. შ. ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ 1956 წ. გვ. 68: 84).

იგი „რუ“, „ვინმე მესხმა“, ღრმად მცოდნემ ძველი განათლებისა და სიბრძნისა აირჩია ეს ამ სახით. იქნებ მსგავსად და მიბაძვით მისი წინამორბედი მესხი, იოანე მოსხისა: **„რომელთა შინა იპოვების მრავალი სარგებელი სულისა საცხოვრებლად , რომელი იგი შუენიერ ყუაოდეს ჟამთა ჩუენთა, ვითარცა ხე თანაწარსადინებელისა წყალთასა“...**

ყველა ამ შედარებებიდან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელი აღიარებული სახელი მგოსნისა სავალდებულოთ მისაღები არ არის და არც ურყევ საფუძველზეა აგებული და ამდაგვარად შეგვიძლია სხვაგან და სხვაში ვეძებოთ მისი ვინაობა.

ეხლა მოვიყვანოთ საბუთები და ვქთვათ ორიოდე სიტყვა იმ პიროვნებებზე, თამარ მეფის სასახლის კარზე, რომელიც ჩვენ ყურადღებას იპყრობს და ღრმა დაკვირვებისა და შესწავლის ღირსია. რადგან შეიძლება კიდევ არსებობსრაიმე მასალა მის პიროვნების შესახებ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუზიდნია მეცნიერთა გულისყური.

ეს არის **„არსენ სამძივარი“.**

თამარ მეფის ერთ გელათის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში მოხსენებულია იგი, როგორც **სასახლის საწოლის მწიგნობარი.** ბოლო სიტყვაობა ამ სიგელისა ასე ამბობს: „დაიწერა ესე საწოლისა და საჭურჭლისა ჩვენისასა მწიგნობარის არსენი სამძივარისაითა“-ო. (იხ. ი. ცინცაძე „საქართველოს არქივი წიგნი 2-რე 1927 წ. გვ. 22).

როგორც ვხედავთ, როგორც თამარის დროის მწიგნობარი სასახლისა, მნიშვნელოვანი პიროვნებაა ჩვენი საკითხისათვის, რომელსაც ადვილათ შეეძლო ეთქვა: „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა“-ო.

არსებობს ცნობა, რომელიც ამბობს: **სამძივარი** იყვნენ სამცხეს მნიშვნელოვანი თავადნი-ო. (იხ. აკ. პ. ინგოროყვა 1963 „რუსთველიანა“ გვ. 91) მაშასადამე მას შეეძლო ეთქვა თავის თავზე: „ვინმე მესხი“-ო.

განსვენებულმა მიხაკო წერეთელმა „ისტორიაში და აზმაში“ ეძება „ვ. ტ.“-ის შემთხვზველიც და თავისი ჩვეულებრივი მცოდნეობით და გონება მახვილობით ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს შეადარა (იხ. „ბედი ქართლისა“ 1951). ხშირად ისტორიული ქებანი და აღწერანი მეფეთა, სასახლის მწიგნობრიდან იწერებოდნენ და მაშასადამე შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ, რომ სამძივარს შეეძლო მისი დაწერა.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე თავის უკანასკნელ ნაშრომში „ეტუდები“ (გვ.202) მოგვითხრობს, რომ „ისტორიაში და აზმაში“ მოყვანილია ლექსი იამბიკო ვილაც „არსენისო“ (534) და ეხლა იგი იმ სახით არის, რომ მისი გაგება შეუძლებელი ხდებაო და კითხულობს მეცნიერი: ვინ უნდა იყოს ეს **„არსენიო“.**

ამ პატარა სახელის მოხსენებას „აზმაში“, ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართლში ხშირად პატარა სახელით თავის დროის ცნობილ მწერალს იხსენებენ. ან თუ იგი თვით დამწერისაგან არის ნახმარი, როგორც ჩვენ ამაში ეჭვი გვეპარება, და „აზმაში“ თავისი ლექსი მოიყვანა!

ყველა ზემო ჩამოთვლილიდან აზრი გვებადება, რომ იგი არის ყველაზე დიდი მოქიშპე „ვეფხის ტყაოსნის“ შეთხზვაზე, რომლებსაც ჩვენ აქამდე ვიცნობდით.

ჩვენ ვარაუდობას, რასაკვირველია, შემოწმება სჭირდება. ქართული მეცნიერება ამ საკითხს მომავალში კიდევ ჩაუკვირდება. აქეთ არის ჩვენი მისწრაფებაც.

არ უნდა დავივიწყოთ, გაუგებრობა და აღრევა მწერლისა და ნაწარმოებისა, პირველი შემთხვევა არაა ქართულ მწიგნობრობის ისტორიაში. მით უმეტეს „ვ. ტ.“-ს დამწერი თავის ვინაობას ფარავდა.

ასეთი დიდტანიანი წიგნები, ძველ დროში, ნელა გადიწერებოდა და ვრცელდებოდა. განსაკუთრებით თამარ მეფის მომდევნო ხანაში, ომებისა და შემოსევების გამო. ასე შეიძლება იგი ამ აღრევის ხანაში, დიდ ისტორიულ პიროვნებას შოთა რუსთველს მიაწერეს, ბგერათა მსგავსების გამო და არა ხალხისათვის ნაკლებ ცნობილ **სასახლის მწიგნობარ „ვინმე მესხს“, არსენ სამძივარს.**

ეხლა გვინდა დამოუკიდებლად ამისა ორიორე სიტყვა ვთქვათ იმ ცნობილ შოთას ნახატზე იერუსალიმში, რომელიც 1960 წელს ქართველმა აკადემიკოსებმა ინახულეს: (ირ. აბაშიძე, აკ. შანიძე, გ. წერეთელი) როგორც გადმოგვცემენ წარწერა მასზე ასეა: ამისსა დამხატავსა შოთას შეუნდვენ ღმერთმან ამინ, ერთი წინადადებაა. მეორე სიტყვა სურათს რომ აწერია „რუსთველი“.

რადგან ქართული გამოთქმისათვის ასე დალაგება უხერხულად ისმის, ამისათვის იყო, რომ აკ. პ. ინგოროყვა თავის „რუსთველიანა“-ში მას ვრცელ განმარტებას აძლევს.

აგრეთვე პრ. მ. წერეთელმაც გამოთქვა თავისი აზრი „ბედი ქართლისაში“ ამ წარწერაზე.

ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერი 1274 წელს მუსულმანებმა დაიჭირეს; მისი წინამძღოლი ლუკა მუხაისძე აბაშიძე აწამეს და ეკლესია წარყვნეს, ხატები და ნახატები მოშალეს. აკ. კ. კეკელიძეს ეჭვი ეპარება, მეცამეტე საუკუნემდე ადრე იქ ქართული არაფერი არისო.

შეიძლება აკ. პ ინგოროყვა მართალი იყო თავის პასუხში, რომ მუსულმანები ყველა სურათებს არ შლიდნენ და „შოთას“ მეჭურჭლეთ უხუცესის ეს სურათი დასტოვესო.

ბუნებრივად იბადება შეხედულება ჩვენთვის; შეიძლება პირველად ქრისტიანული თავმდაბლობით და ძველებური სიმარტივით მოყვანილი წინადადება ეწერა მოკლეთ. ამ სურათზე **„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვენ ღმერთმან ამინ“**. და შემდეგ ქართველმა ამ ეკლესიის აღმდგენელმა ქერებმა სურათს მიაწერეს **„რუსთველი“**, იმის განსამარტავად, თუ ვინ იყო ეს მოკლედ მოხსენებული შოთა. ეს ვარაუდობა ჩვენგან ადვილი დასაშვებია და იქნებ კიდევ შეიძლება შემოწმება ამ წარწერისა, დაკვირვების სხვადასხა ხერხებით.

ბოლოს გვინდა ვთქვათ, რომ აკ. პ. ინგოროყვას მიერ „ტარიელის“ ისტორიულ შოთა ჰერეთის ბაგრატიონთან შედარება, მიმზიდველად გვეჩვენება და თუ ეს ასეა, მაშინ მისგან დაწერა „ვ. ტ.“-სა სცილდება შესაძლებლობას, რადგან ტარიელი და რუსთველი ორი სხვადასხვა პიროვნება უნდა იყოს. გამოთქმიდან — ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა“-ო.

**ირ. ოთხმეზური**

## კაკანწყვილი

(ხალხურიდან)

აქაფებული ხობის წყლის პირას არის ერთი ნასოფლარი. ეხლა, იქ შუაგულ მოედანზე, პატარა მრგვალი ტბა მოსჩანს, მზის სხივებზე ვერცხლის ფერად რომ ლაპლაპებს... ეხლა იქ მეტი არაფერია გარდა ტბისა, ავდარში მის ზედაპირზე ქარი რო სისინებს შხამნარევი. ყველა ერიდება მას, არც აავინ გაიხედავს მისკენ და თუ მგზავრი გზის შესამოკლებლად გვერდს ჩაუვლის ბილიკზე მავალი; ამ ადგილს ზიზღით აუვლის, მაგრად მიაწყევლის, სამჯერ პირზე ჯვარს გამოისახავს და სამჯერვე გაიფურთხებს: „ფუი ეშმაკს, დალახრულს, წაბილწულს, ჯვარი მწყალობს, ილორი თავს მადგია... უვნები ვარ ბილწისაგან“.

ეს ადგილი ოდესღაც წვანით იყო მოსილი და სიცოცხლე ჰხარობდა, სოფელი ლაღობდა

და სიცოცხლეს ეტრფოდა.

სოფლის მოედანზე კიდევ სამკაულივით თეთრი ეკლესია იდგა და ერი ღვთის სიტყვას ისმენდა. სოფელს გარშემო ტყე აკრავდა, ტყე უტეხი, გაუვალი და ნარეკალათი გაბინდული.. მთის კალთებიდან შქერის სურნელება მოდიოდა.

***

ცხოვრებით ტკბებოდა ყველაფერი... გარჯა იყო სოფლის ხვედრი, და გამრჯელს უხვად სწყალობდა უფალი ღმერთი. მისთვის არაფერს იშურებდა და სოფელიც ლაღობდა. თუ ვინმე უცხო გამოივლიდა სოფელში, მაშინ ატყდებოდა ხოლმე ძაღლების ყეფა... ჯერ ბოხი ხმით რომელიმე ქოფაკი წამოიწყებდა, მისი ხმა ზარასავით მოისმოდა სოფელში, მას ბანს მისცემდა მეორე უფრო მიმყოლი ხმით, მესამე.. და მათი ხმა სოფელს შორდებოდა და მთის კალთებზე იფანტებოდა, შორს მისწყდებოდა ხოლმე. ბინდისას, ნახევრად კარგამოღებულ ფაცხებიდან მოსჩანდა ყებურზე დანთებული ცეცხლის გამოკრთომა, გარშემო რო შემოსხდომოდნენ ოჯახის წევრები. ზაფხულობით დამაშვრალი ადრე იძინებდა და ადრე დგებოდა. დღე იყო დიდი და ღამე მოკლე, მაგრამ ზამთრისას მთელი სოფელი ყებურზე აგუზგუზებულ მორს უსხდა და ზღაპრებით ლევდა ლარივით გაბმულ გრძელ ღამეს, სოფელს რო შემოსალტოდა. ზღაპრის მლეველი ალბად მორი იყო ურთას მთიდან ჩამოზიდული ... მუგუზალივით რომ დაიფერფლებოდა და ანთებული მუგუზალის შუქით მთელი სახლობა ბუნაგს მოსძებნიდა. მუგუზალი იყო ფაცხას რომ ანათებდა და მისი ჭუჭრუტანიდან გამომკრთალი ალი, ტყიდან მოვარდნილ მშიერ მგელთა ხროვას თვალებს უკორტნიდა.

***

სოფელი რომ მოშენდა, პირველად სალოცავი ააგეს. რაშზე ამხედრებული თეთრი რაინდი ეკლესიის ეზოში მოწიწებით დაასვენეს და მრევლი მიწად გაკრული ხოტბას ასხამდა დამრევლი მიწად გაკრული ხოტბას ასხამდა რაინდს უძლეველს, მზის ცხელი სხივებით რომ ჰქონდა პირი დამშვენებული.

ღვთის სახლი მოსავლელად საბა მღვდელს ჩააბარეს და სულზე ზრუნვა მას მიანდეს. საბა ღარიბი იყო და წვივები ძონძადქცაული პაჭიჭებით ჰქონდა შემოსუდრული გაცვეთილი შავი კაბა მუხლებამდე ძლივს ატანდა, მაგრამ სოფელმა ფული მოუგროვა და სახარბიელოდ შემოსა საბა მღვდელი. საბა მოღონიერდა, რადგან სოფელი ღონიერია... ღმერთმა ხელი მოუმართა. სოფელმაც შეიყვარა, გული გაუხსნა, გამდიდრდა პაპა. ძველ სამოსელს ვერ იგუებს მოძღვარი.. ახლად მოირთო. დამშვენდა. სასიამოვნო გახდა. ჯალაბიც მოიმრავლა. ოთხფეხა და წვრილფეხა უთვალავი გაიჩინა. გალაღდა საბა. ძველი ბინადარი არ უნდა, ახალი სწადია, სასახლის აგება განუზრახავს... სოფელს უნდა დაჰყურებდესო, მთის მწვერვალივით.

გაჩაღდა სამუშაო... აუარებელი მასალა მოზიდეს... ქვა ჯახუთს მოთალეს ქვის მთლელებმა. სახურავი ხეთას შეუკვეთეს, დირეც იქიდან მოზიდეს და ყულევიდან კიდევ ნავებით ამოიტანის საშენი ნიგვზის ხეები, დახერხილი და გამზადებული. უთვალავმა მუშამ მოიყარა თავი საბა მღვდლისას... სოფელიც არ დარჩა განზე და უსასყიდლოდ წაეშველა სოფლის მოძღვარს... საბაც დაფაცურდა, მათთვის სულსაც არ იშურებს.

***

სასახლე აშენდა...

იგი ეხლა სოფელს დაჰყურებს თავმომწონე პატარძალივით. საბამ ლხინი გამართა საოცარი. ეზოში ფანჩატურები გამართეს. საბას მსახურებმა ღოროტოტო დაუკრეს, დამაშვრალნი სადილად იხმეს. შუა ადგილას ვეებერთელა კარდალების ქშინვა მოისმოდა. გრძელ ტაბაკზე ჯამები დაალაგეს და ხონჩით შემწვარი თხის ხორცი დანაჭრებული. ჭრელი დოქებით ღვინო ჩამოარიგეს. საბამ მიტანია გადაიხადა და ღმერთს შეავედრა დამაშვრალი.

სუფრას შემოუსხდნენ... თამადამ, მხარბეჭიანმა ქიტამ, მხრიბზე 99 წელი რომ დასდგომოდა ჯიხასავით, პირველი ყანწით უფალი და ქართველი ერი ადიდა განუყრელად.

ოჯალეშმა თავისი ქნა და ფანჩატურებიდან „დილია-აბდილია“ გაისხა. ამ დროს ნაგაზმა შეჰყეფა და ძონძებში გახვეული ვინმე ყარიბი შემოვიდა უცხოდ ვლილი. მათხოვარს წვივებიდან სისხლი სდიოდა. მათხოვარი სუფრაზე დაიწვიეს.

მოილხინა საბა მღვდელმა, მოილხინა მათხოვარმაც. სადილი ყველას ეამა უჩვეულოდ.

„ასეთი მარილიანი ხორცი ჯერ არ მიჭამებია“ —

„ქაცარის ხორცი გემრიელია, დაბრაწული“

„ქაცარის ხორცი მეც მქონია —

„მაგრამ ასი გემრიელი არ ყოფილა“.

გაიძახოდნენ მუშები და მადლიანად ილუკმებოდნენ. საბა მღვდელი გულუხვი იყო და მარილიან ქაცარის გემრიელ ხორცს, ცეცხლზე დაბრაწულს, მეტი გულუხვობით აძალებდა სტუმრებს.

★

ეს ქაცარის ხორცი როდია!

წამოიძახა მათხოვარმა, ძლივს რომ მოჩანჩალდა ეზოში მოშივებული.

— ეს ძაღლის ხორცია!

სთქვა ყარიბმა და ლუკმა პირიდან გააგდო, შეზიზღებული.

„ტყუილია“

„მართალია“

„საბა ცრუა“

„წაბილწული“

იროდნენ ხმები.

საბა პირჯვარს იწერდა და გახელებულთ ამშვიდებდა. ბრბო წამოიშალა განრისხებული... სამზარეულოს მივარდა. კერაზე კვლავ ბრაწავდნენ გატყავებულ ძაღლებს.

მათხოვარმა ხელები აღაპყრო ზეცად... ღმერთს მრისხანება სთხოვა... ცამ ისმინა მისი ვედრება, ზეცა განრისხდა... ცის კაბადონზე კრუბელთ ლეგიონი გამოჩნდა შავად მღელვარი... მზემ სხივი მიმალა... ლურჯი ცა მრისხანებად იქცა, ლეგა ღრუბლები ზღვის ტალღებივით აზვირთდა... ცამ დაიგრიალა, მიწა შეზანზარდა... მიწამ პირი დააღო და მის ნაპრალებიდან ცეცხლის ალები ამოსკდა.

სოფელი გარბოდა თავზარდაცემული.

უცებ ინათლა...

მზემ კვლავ სხივი სტყორცნა ცოდვილ დედამიწას და საბა მღვდლის ნასახლარზე ტბა ამოტივტივდა.

„პაპანწყვილი“ დაარქვეს მას და ის ადგილი ხალხმა შეიზიზღა.

**მინდია ლაშაური.**

## ქართულ სათვისტომოში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ქართულმა სათვისტომომ გადაიხადა ივნისის 17.

ეროვნული დროშებით მორთულ სასტუმრო რუზველტის აღმოსავლეთის დარბაზში მრავლად მოიყარა თავი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერთა წარმომადგენლობამ და იმათაც, ვისთვისაც ეროვნული დამოუკიდებლობა თანამედროვე ეპოქის განვითარების საფუძველია.

საზეიმო კრება გახსნა ბ-ნ ალ. ჯინჭარაძემ, მისალოცი დეპეშები და წერილები წაიკითხა ქ-ნ ირ. ერისთავ-აბდუშელმა, რის შემდეგაც სიტყვა მიეკუთვნა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილს.

სათვისტომოს თავმჯდომარის სიტყვას ჩვენი მკითხველი გაზეთის ამავე ნომრიდან გაეცნობა, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ, მხოლოდ, გარემოების სწორ გათვალისწინებას და აქედან წარმომდინარე რეალურ დასკვნებს.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ქართველებისათვის 26 მაისი არ არის მხოლოდ წარსულის მოგონების დღე და ამდენადვე არ არის „ცეკვის და ხანჯლოსნობის“ დღესასწაული, არამედ ის არის ჩვენი ბრძოლის მიზანი

ყოველწლიურად დამოუკიდებლობის დღეს თავმოყრილი ქართული საზოგადოება უნდა იხილავდეს ბრძოლის პრაქტიკულ შესაძლებლობას და სავარაუდო მოკავშირეთა წრის აღმოჩენას. ბ-ნი გ. ზალდასტანიშვილის მიერ 26 მაისის დღესასწაულის ვიეტნამის ომთან, ან საზოგადოთ, ანტიკომუნისტურ ბრძოლასთან დაკავშირება სწორედ პრაქტიკული ბრძოლის მიზეზით აიხსნება. მსოფლიოს ყოველ კუთხეში წარმოებული ანტიკომუნისტური ბრძოლა, რომელსაც თანასდევს რუსული გავლენა, ისევე ცოცხლად ეხება ქართულ ეროვნულ ემიგრაციას. როგორც თვით სამშობლოში წარმოშობილი ესა თუ ის მოვლენა. **ჩვენი ადგილი მთლიანად და ურეზერვოდ იქ არის, სადაც ეროვნული თავისუფლების** (არა რუსული გაგებით) **მცველები იბრძვიან.** მსოფლიოს ყოველ კუთხეში წარმოებული ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის ასალაგმავად ხელს უწყობს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებას, ამიტომ, ამ ჭიდილში ყოველი ქართველი მამულიშვილის ადგილი ანტირუსულ, ანტიკომუნისტურ ბლოკშია.

---

გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციამ, კავკასიის ერების დამოუკიდებლობის დღე ნიუ არკში გადაიხადა. კავკასიის ეროვნული დროშებით მორთული დარბაზი სავსე იყო, როგორც კავკასიელ, ისე ჩვენი მეგობარი ერების წარმომადგენლებით. სტუმრებ შორის საპატიოდ აღინიშნება თვით ქალაქ ნიუ არკის ქალაქის თავი.

საზეიმო კრება გახსნა აზერბაიჯანის კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნ რაჰიმ ბაბაოღლუმ, რომელმაც მცირე შესავალი სიცყვის შემდეგ სიტყვა მიაკუთვნა კავკასიის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ-ნ ალ. ჩხენკელს.

ბ-ნი ჩხენკელი მოკლედ შეეხო კავკასიის განვლილ ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის და ღრმა რწმენა გამოთქვა, რომ ამგვარი წარსულის ერები კვლავ იხილავენ მშობლიურ ერებს თვითმყოფსა და დამოუკიდებელსო.

კრების დასასრულს ბ-ნ ალ. ჩხენკელმა საზოგადოებას წარუდგინა ორი რეზოლუცია, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული. პირველი მიემართება შეერთებული შტატების პრეზიდენტს. აქ ვკითხულობთ: „სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ერების წარმომადგენლები უდიდეს მადლობას გიხდიან იმ პოლიტიკისათვის, რომელიც მხარს უჭერს საბჭოეთში მოქცეულ კავკასიის ერების სამართლიან მოთხოვნილებებს, რათა ამ ერებს მიეცეს შესაძლებლობა, როგორც, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენ თვითონ განაცხადეთ, ნებაყოფლობით აირჩიონ საკუთარი სოციალ-პოლიტიკური წყობილება და სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა. თავისუფლებისადმი თქვენი მაღალი მიძღვნილობით გვაძლევთ ღრმა რწმენას, რომ მიზანი, რომლისთვისაც თქვენ არ იშურებთ ამერიკელების სიცოცხლესაც კი სწორია და სამართლიანი და მაშასადამე გაიმარჯვებს კიდეც.

ჩვენ, კავკასიელები მხარს უჭერთ თქვენს პოლიტიკას და ღონისძიებებს ვიეტნამში და ვგმობთ სხვა და სხვა პირების და ორგანიზაციების საწინააღმდეგო გამოსვლებს, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნისტურ ძირგამომთხრელ მუშაობას.

ჩვენ უგზავნით სალამს და საუკეთესო სურვილებს ამერიკელ მხედრობას, რომელიც გმირულად იბრძვის ვიეტნამის ჯუნგლებში იმ იდეებისათვის, რომლებისთვისაც ჩვენი გულიც ძგერს.

ბ-ნო პრეზიდენტო, ვიყენებთ შემთხვევას, რათა გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციის სახელით გთხოვოთ კეთილ ინებოთ და მაისის უკანასკნელი კვირა გამოაცხადოთ კავკასიის დამოუკიდებლობის დღეთ.

გარწმუნებთ, რომ ამ მნიშვნელოვან გარდაწყვეტილებას უაღრესად დააფასებენ კავკასიის თავისუფლების მოყვარული ერები და მათი უცხოეთში მცხოვრები შვილები“.

მეორე რეზოლუცია გაეგზავნა ვიეტნამში მომქმედ შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდალს გენერალ უესტმორლანდს.

„ბატონო გენერალო!

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გასულ მაისის 27-ს გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციამ ზეიმით აღნიშნა კავკასიის ერების 49 წლისთავი. საზეიმო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მადლობას გიხდიან თქვენი გმირული მოქმედებისათვის ვიეტნამში.

ვამაყობთ, რომ თქვენს რიგებში იბრძვიან კავკასიური წარმოშობის ამერიკელები.

ჩვენ მხარს უჭერთ თქვენს ღონისძიებებს ვიეტნამში და ენერგიულად ვგმობთ საწინააღმდეგო მოუფიქრებელ გამოსვლებს.

ბ-ნო გენერალო, გთხოვთ გადასცეთ თქვენს ოფიცრებს და ჯარისკაცებს ჩვენი სალამი და საუკეთესო სურვილები. ჩვენ ვლოცულობთ მათი ბრწყინვალე გამარჯვებისათვის“.

***

გენ. უ. ს. უესტმორლანდიდან კავკასიის გაერთიანებულმა ორგანიზაციამ მიიღო შემდეგი წერილი:

„ულრმეს მადლობას გიხდით თქვენი 4 ივნისის წერილისათვის და კავკასიის ერების გამამხნევებელი სიტყვებისათვის.

ჩვენ არ შეგვიძლიან გამარჯვების და მშვიდობის იმედი ვიქონიოდ ამ ქვეყანაში, შეერთებულ შტატების მოსახლეობის გულწრფელი მხარის დაჭერის გარეშე.

თქვენი წერილი და განცხადება გვიმტკიცებს ამ მხარდაჭერას, რომელსაც ჩვენ აღფრთოვანებით ვეგებებით.

იყავით დარწმუნებული, რომ ჩემ სამხედრო ძალებს გავაცნობ თქვენი ორგანიზაციის მხარდაჭერას სპეციალური განცხადებით.

პირადათ და ყველა ჩემი ოფიცრობა-ჯარისკაცების სახელით გიგზავნით სალამს და მადლობას.

გულწრფელად თქვენი უ. ს. უესტორლანდ,
გენერალი, ვიეტნამში მომქმედ არმიის
მთავარსარდალი

## აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 76)

ლინკოლნი კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სახალხო სუვერენიტეტი შეიძლებოდა დაემხო ბრბოს, ან გაეუქმებინა სასამართლოს და მაშინ ყოველივე დაიღუპებოდა, რადგან კავშირის გადარჩენა, მხოლოდ მონობის გავრცელების შეზღუდვას შეეძლო. ერთ-ერთი გამოსვლის დროს ლინკოლნმა მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველობით გამოაქანდაკა თავისი პოზიცია: „მე კონსტიტუციის არც ერთ მუხლს თავს არ დავსხმივარ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სამხრეთელების კანონიერი მოთხოვნაა გაქცეული მონების დაბრუნება. აგრეთვე ყოველთვის უარვყოფდი კონგრესის უფლებას ჩარეულიყო შტატების შინაურ ცხოვრებაში. მთელი ჩემი ძალ-ღონე მიმართული იყო, არ დაგვეშვა ახალ ტერიტორიებზე მონობა. რამდენათაც მახსოვს, მთელი ჩემი მუშაობა მიმართული იყო კავშირის გასამაგრებლად. არასოდეს არ განმიცდავნებია შეურიგებლობის გრძნობა ჩვენი სამხრეთელი ძმების მიმართ, რადგან ასეთი გრძნობა არა მექვს.

არ შეუდგები მტკიცებას, რომ პოლიტიკური მიღწევების მიმართ გულგრილი არა ვარ, მაგრამ, რომ მიზურის კომპრომისი კვლავ აღსდგეს, რომ მონობის გამო მთელი კამათი კვლავ დაუბრუნდეს პირვანდელ სტადიას და აუცილებლობის ძალით მონობა დარჩეს სადაც არსებობს, ხოლო არ მიეცეს გავრცელების საშუალება იქ, სადაც არ არსებობს; მე სიხარულით დავთანხმდებოდი, რომ დუგლასი დარჩეს თავის სენატორის სავარძელში და იგი მე არასოდეს არ დავიკავო, ვიდრე ცოცხლები ვართო„.

ამავე სიტყვაში, ლინკოლნი, მწუხარებით აღნიშნავდა იმ უსიამოვნო მომენტებს, რომლებიც ამ კამპანიის დროს წარმოიშვნენ. ეს მწუხარება მას ბოლომდე თან სდევდა. ამ მშვიდ, მომთმენს და ზომიერ ადამიანს წილად ხვდა ეტარებინა ის სიძულვილი, რომელიც დემოკრატიას შეუძლიან წარმოშვას გაღიზიანების მომენტებში. მას იმის დროც კი არა ჰქონდა, რომ საყვედური გამოეთქვა, მაგრამ ხშირად უგრძნობინებია მსმენელისათვის, თუ რა მწუხარებით იტანს დაუმსახურებელ კილვას.

ერთხელ განაცხადა: „მე არ მიფიქრია თავს დავესხა პარტიას, ან ცალკე პიროვნებებს, მაგრამ თუ აშას მაინც ვერ ავცდი, გულწრფელად ვნანობო“.

ლინკოლნის და დუგლასის დაპირდაპირებაში აღსანიშნავია ის მედგარობა, რომელსაც ორივე მხარე იჩენდა მონობის საკითხში. თუმცა, იმ ეპოქაში, არც იყო პაექრობის სხვა, სერიოზული თემა. საფიქრებელია, რომ ლინკოლნი ცდილობდა კიდეც თავისი ენერგია ამ ერთი საკითხისათვის მიეძღვნა და მოპირდაპირეც ამ გზით გაეყოლიებინა. ამას გვაფიქრებინებს მისი პარტიის მდგომარეობა. როგორც ვიცით მისი ახალი რესპუბლიკანური პარტია საჩქაროდ იქმნა შედგენილი კონსერვატიული ვიგებისაგან, დემოკრატებისაგან, რომლებმაც მიატოვეს დუგლასი ნებრასკის კანონის გამო და იმ ხალხისაგან, რომლებიც ყველას და ყველაფრის ოპოზიციაში იყვნენ. ამგვარი შემადგენლობის პარტიაში სადისკუსიო თემების ნაირნაირობა უსათუოდ წარმოშობდა შინაგან წინააღმდეგობას, რაც ლინკოლნს, ცხადია, არ გამოეპარებოდა და ამ საფათერაკო მომენტის თავიდან აცილებას შეეცდებოდა.

**არ. დონაური**

(გაგრძელება იქნება)

***

ულრმეს მადლობას უხდით თანამემამულეებს, რომლებიც ჩვენს მოწოდებას გამოეხმაურნენ და გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად დახმარება აღმოგვიჩინეს, ან დახმარება აღგვითქვეს.

**რედაქცია.**

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული მარტის 13-ს პარიზში (საფრანგეთი) გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი ელჩის და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, აკაკი ჩხენკელის მეუღლე

**მაკრინე ჩხენკელი**

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს მის შვილს, ჩვენი გაზეთის თანამშომელ ალ. ჩხენკელს, რძალს და შვილიშვილებს.

**G. A. Press**
114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**
*Mr. G. Djakeli*
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*
**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.*